



უნივერსიტეტი



თბ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაგათი

№8 (75) 2017

კურსდამთავრებულთა ბამოშვება-2017



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთა 95-ე გამოშვების სამხილ ღონისძიება გაიმართა. წელს თსუ-ში ბაკალავრიატის საფეხური 3000-მდე სტუდენტმა დაამთავრა. თსუ პირველი კორპუსის ეზოში კურსდამთავრებულთა ცერემონიას თსუ ბაკალავრებთან ერთად, უნივერსიტეტის რექტორი გიორგი შარვაშიძე, აკადემიური საბჭოს წევრები, ფაკულტეტების დეკანები, აკადემიური წრეების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

ბარბელა მ-2 მ.

თსუ – მსოფლიოს 500 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შანხაის მსოფლიოს უნივერსიტეტების აკადემიურ რანჟინგის (ShanghaiRanking) დარგობრივ (ფიზიკის) რანჟინგებში მსოფლიოს 500 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის მოხვდა.

შანხაის დარგობრივ რანჟინგებში თსუ-ს ფიზიკის მიმართულება 151-200 პოზიციას იკავებს. თსუ პირველი უნივერსიტეტია არამარტო საქართველოდან, არამედ რეგიონიდან, რომელიც შანხაის მსოფლიოს უნივერსიტეტების აკადემიურ რანჟინგებში მოხვდა.

აკადემიური სუბიექტების გლობალურ რანჟინგებში მსოფლიოს 4000-ზე მეტი უნივერსიტეტი მონაწილეობდა. რანჟინგებში 52 დარგის მონაცემებს ასახავს, მათ შორის მუსიკა და საბუნებისმეტყველო, საინჟინრო, სამედიცინო, სოციალური მეცნიერებების მიმართულებებით. 2017 წლის რანჟინგების წინაპირობა უნივერსიტეტების მიერ შესაბამის დარგში 2011-2015 წლებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები იყო.

შეფასების ინდიკატორები მოიცავს კვლევების პროდუქტიულობას, კვლევის მაღალ ხარისხს, საერთაშორისო თანამშრომლობის ღონისძიებებს, სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობას, მათი ციტირების ინდექსს, აკადემიურ



ჯილდოებს და მაღალ აკადემიურ ცნობადობას.

52 დარგის რანჟინგებში წამყვანი პოზიციები 32 მიმართულებით აშშ-ს უნივერსიტეტებმა დაიკავეს, 8 პირველი ადგილი ჩინეთის და 5 პოლანდიის აკადემიურ დაწესებულებებს ერგოთ. ფიზიკის მიმართულებით პირველი 9 ადგილი აშშ-ის უნივერსიტეტებმა დაიკავეს. მათ შორის პირველ ადგილზე მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი (MIT) დასახელდა.

ShanghaiRanking 2009 წლიდან ახლ-

ცილებს მსოფლიოს უნივერსიტეტების აკადემიურ რანჟინგებს და ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ რანჟინგად ითვლება.

სულ ცოცხად ხნის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ევროპის 400 საუკეთესო უნივერსიტეტის ჩამონათვალიში 301+ პოზიციას დაიკავა. თსუ რეგიონში ერთადერთი უნივერსიტეტია, რომელიც ევროპის Times Higher Education-ის მონაცემებით, 400 საუკეთესო უნივერსიტეტს შორისაა. ევროპის 2017 წლის რანჟინგებში სულ 35 ევროპული ქვეყანა მოხვდა. 2016-2017 წელს „თაიმსმა“ მსოფლიოს 980 საუკეთესო უნივერსიტეტის ჩამონათვალი გამოაქვეყნა. ამ ჩამონათვალიში თსუ 801+ ადგილს იკავებს და ასევე ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა რეგიონიდან. თსუ-მ ყველაზე დიდი შეფასება აიღო საერთაშორისო ცნობადობისა და ინტელექტუალური შესაძლებლობის კომპონენტში - საერთაშორისო ცნობადობა გულისხმობს საერთაშორისო და ადგილობრივი სტუდენტებისა და საერთაშორისო და ადგილობრივი პერსონალის რაოდენობის შეფარდებას, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობას; ინტელექტუალური შესაძლებლობის კომპონენტი (გულისხმობს გამოგონებებისა და ინოვაციების წარმოებაში დაწვრთვას ქვეყნის მასშტაბით).

სტუდენტური კონკურსი „თსუ ინოვაცია“ ღაიხუო



მიიღეს მონაწილეობა სტუდენტურ კონკურსში „თსუ ინოვაცია“, წარმოადგინეს ინოვაციური ნამუშევრები, მოიგეს თანხა და აქციით იღებოდა რეალიზაცია.

კონკურსის საპრიზო ფონდი შეადგენს 5000 ლარს. პროექტი გულისხმობს სტუდენტთა ინოვაციური ნამუშევრების გამოფენა-კონკურსს, რომლის მიზანია თანამედროვე ტექნოლოგიებით დაინტერესებული სტუდენტების აღმო-

ჩენა და მათი ორიგინალური იდეების განხორციელება.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამივე საგანმანათლებლო საფეხურის, 7 სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს. კონკურსანტების რეგისტრაცია 25 აგვისტოს ჩათვლით მიმდინარეობს.

კონკურსზე მიიღება ინოვაციურ-ტექნოლო-

გიური ნამუშევრები, როგორც software, ასევე hardware გიბის პროექტები. პროექტში მონაწილეობა შესაძლებელია გუნდურად ან ინდივიდუალურად. გუნდის წევრთა მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 4 მონაწილეს.

კომპეტენციური უიური გამოთვალეს ფინალისგ გუნდებს, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში თავიანთი პროექტების პროტოტიპებს და საჩვენებელ პრეზენტაციებს შექმნიან და უიურის წინაშე წარადგინენ. გამარჯვებულ სამ გუნდზე კონკურსის საპრიზო ფონდი - 5000 ლარი განაწილდება:

- პირველი ადგილი – 2500 ლარი
- მეორე ადგილი – 1500 ლარი
- მესამე ადგილი – 1000 ლარი

კონკურსის ყველა ფინალისგს პაგნოტორი კომპანია მიაკროსოფტი ქლავ სერვისით სარგებლობის საშუალებას მისცემს, ხოლო გამარჯვებული გუნდი სპეციალურ პრიზს - მობილურ ტელეფონს Microsoft Lumia-ს მიიღებს.

კონკურსის შედეგად შერჩეულ პროექტებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, სტუდენტები წარმოადგენენ სამეცნიერო გამოფენებსა და სტუდენტურ ღონისძიებებზე.

თსუ სმარტ ლაბორატორია (SMART|AtmoSim-LAB) ატმოსფეროს კვლევაში იმუშავებს

შემოდგომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სმარტ ლაბორატორია ამუშავდება. ლაბორატორია სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იულისის კვლევითი ცენტრის თანამშრომლობის საფუძველზე იქმნება და სპეციალიზირებული იქნება ატმოსფეროს ანალიზებზე. სპეციალისტთა განმარტებით, ეს ანალიზები მოიცავს როგორც ატმოსფეროს ქიმიურ ანალიზს, ასევე შედეგების მათემატიკურ დამუშავებას და ატმოსფეროს მდგომარეობის მათემატიკური მოდელის შექმნას.

გვ. 3

საგაფხულ სკოლა 2017 – უნგრელი სტუდენტებისთვის

მაფხულის პერიოდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის საგაფხულ სკოლების თვალსაზრისით საკმაოდ დატვირთული გახლდათ. ერთ-ერთი მათგანი იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით „საქართველოში უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში გამართული სკოლა, რომელსაც სახელმწიფო უნივერსი-



გვ. 2

თსუ მენეჯმენტი ნაპირლანდიაში პრობლემების გადაჭრაში მუშაობენ

როგორ შეიძლება გადაიჭრას ნაპირლანდიაში პრობლემა მაქსიმალურად ეფექტური გზით და გარემოსთვის ზიანის მიყენების გარეშე? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად არის შესაძლებელი. კვლევა მოთა რუსთაველის ერთგული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით გამოყენებითი კვლევების სამეცნიერო გრანტის ფარგლებში განხორციელდა. პროექტზე „ნაპირლანდიაში და პილდრენერგეტიკის ერთობლივი



გვ. 3

თსუ ფუტსალის გუნდი ევროპის ჩემპიონატის პრესხლის პრიზიორია



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ევროპის სტუდენტურ ჩემპიონატზე ფუტსალში ევროპის მელეები მოიპოვეს, ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად კი, თსუ სტუდენტი ნიკოლოზ

გვ. 4

კურსდამთავრებულთა გამოშვება-2017

პირველი გვერდიდან

ბაკალავრიატის დამთავრებულთა კურსდამთავრებულებს თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ მიულოცა: „განსაკუთრებული ღვაწლი, როგორც ჩვენი კურსდამთავრებულების, ასევე, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ჩვენ ყველას ერთი რამ გვაერთიანებს – ყველანი ვართ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. დღეს, 3000-მდე ახალი სპეციალისტი შეემატა ჩვენს ქვეყანას. ბევრი თქვენგანი დასაქმდება, ბევრს სურს მაგისტრატურაზე სწავლის გაგრძელება. ყველას ვუსურვებ წარმატებებს. ახალი სურათით, ახალი მხერით უნდა შეხედოთ ცხოვრებას. გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ უნიკალური კურსდამთავრებულები – უნივერსიტეტის 95-ე გამოშვება. მჯერა, რომ „კლასი 2017“ იქნება წარმატებული!“

„პროფესორებთან ერთად თსუ-ში შევიძინე საუკეთესო მეგობრები, რომლებიც ფაქტობრივად ჩემი ოჯახის წევრები გახდნენ. გავიღობე ჩემი ცოდნა საერთაშორისო სამართლის მიმართულებით - უნივერსიტეტმა მომცა შესაძლებლობა, რომ საზღვარგარეთ გამეგრძელებინა სწავლა, იქაც მიმეღობა განათლება. ვაპირებ მაგისტრატურაზე თსუ-ში ჩაბარებას“-აღნიშნა თსუ იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულმა გიორგი ბაიძემ.

საბოლოო ღონისძიებებზე ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებს სწავლის დამთავრება მიულოცეს თსუ პროფესორებმა, თბილისის მერმა და ვიცე-მერმა ნარმანიაშვილმა, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ ნოდარ ხალაშვილმა. ღონისძიების დასასრულს კი მუსიკალურმა ჯგუფმა TSU Art-მა კურსდამთავრებულებისთვის კონცერტი გამართა.

ცერემონიის შემდეგ, სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით უნივერსიტეტის გაბეჭდულმა ბაზის გერიგორიაშვილმა, გაიმართა დასკვნითი სადღესასწაულო კონცერტი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918 წელს დაარსდა და პირველი გამოშვება უნივერსიტეტის სიბრძნისმეცხველების ფაკულტეტმა 1922 წელს აღნიშნა. თსუ ბაკალავრიატი 2017 წელს 3000-მდე სტუდენტმა დაამთავრა. თსუ-ს 7 ფაკულტეტზე 200-ზე მეტი სასწავლო პროგრამა მოქმედებს და 20 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2017-2018 სასწავლო წელს 3600-მდე პირველკურსელს მიიღებს, 430 აბიგურდინტი კი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხება.



სამაგისტრო სკოლა 2017 – უნბრელი სტუდენტებისთვის

პირველი გვერდიდან

გეგმა 7-17 ივლისს უმასპინძლა. სკოლაში სამმა უნბრელმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

სკოლის ფარგლებში უნბრელმა სტუდენტებმა ორი კურსი მოისმინეს – „სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკა სსრკ-ს დამხმარებით“ და „კავკასიის ეთნოგრაფია“. ამ უკანასკნელს თსუ პუბლიცისტული მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი ქეთევან ხუციშვილი უძღვევდა. ამ ინტენსიური კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნენ მოგად ინფორმაციას კავკასიაში არსებული ეთნიკური, ლინგვისტური და რელიგიური ვითარების შესახებ. თემატურად აგებული ლექციები კავკასიის ხალხთა ყოფიდან აღებული მაგალითებით იყო ილუსტრირებული.

ქეთევან ხუციშვილის თქმით, სტუდენტებმა განსაკუთრებული ინტერესი კავკასიის ხალხთა რელიგიური კუთვნილების, რეგიონისთვის „გრაფიკული და არა-გრაფიკული“ რელიგიური ორგანიზაციების, მათი საქმიანობისა და მათ მიმართ არსებული საკანონმდებლო ბაზისადმი გამოთქვეს. გარდა ამისა, დაინტერესდნენ კავკასიის პოლიტიკურ თეორიებში ეთნო-კონფლიქტურ უმცირესობების ისტორიის, ყოფისა და კულტურის მიმდინარე მდგომარეობით.

„სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტებისთვის მომზადდა საკითხავი მასალის ნაკრები. ჩემი მხრიდან დაემატება, რომ სამივე სტუდენტი ძალიან მოტივირებული აღმოჩნდა და შედეგად მათი ჩართულობის ხარისხმა განაპირობა ლექციების ინტერაქტიული ხასიათი. ვფიქრობ, მსგავსი პროექტები ორმხრივად მომგებიანია პარტნიორი უნივერსიტეტებისათვის. ასეთი კომუნიკაცია საშუალებას იძლევა რეგიონით დაინტერესებულ უცხოელ ახალგაზრდებს პირველადი ინფორმაცია რეგიონში არსებული ვითარების შესახებ, „შიგნიდან“ დაეინახონ პრობლემათა არსი, გაეცნონ ადგილობრივი ხედვები. ამასთან, ჩამოყალიბდეს ახალი კავშირები, რაც საუბაროდ შესაძლებელია შემდგომი სასწავლო თუ სამეცნიერო პროექტების საწინდარი გახდეს და მოხდეს ჩვენს სამეცნიერო სივრცეში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების ინტერნაციონალიზაცია“- აცხადებს ქეთევან ხუციშვილი.

რაც შეეხება თავად სტუდენტების განწყობას, ეგვემ ლორანდის სახელობის უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ღორა მარქსმა სამაგისტრო სკოლაში მონაწილეობა კავკასიის შესახებ მეტი ცოდნის მისაღებად გადაწყვიტა. „სამაგისტრო სკოლაში



მონაწილეობა გადაწყვიტე იმიტომ, რომ მისი თემა საინტერესოა და მსურს ჩემი სადაბლო ნაშრომი ამ საკითხზე დაეწერა. გარდა ამისა, ჩემი ქართული მეგობრები ამ ქვეყნის შესახებ მხოლოდ კარგს მიყვებოდნენ. საქართველოში პირველად ვიყავი, და კვლავ მინდა დავბრუნდე, სახელმწიფო უნივერსიტეტმა რაც გვესაჭიროებდა, სწორედ ის მოგვცა. ორივე კურსი ძალზე სასაგებლო იყო. პროფესორები კარგად იყვნენ მომზადებულები, ისინი ჩვენ მასალების გამოგზავნასაც დაგვიპირდნენ. ცოცხალ საქართველოს სანახაობად გვქონდა. ვიყავი სიღნაღში, ილი-

ას გზაზე, მცხეთაში, დავლაშქრეთ ყაზბეგის, წასვლამდე სურვილი მაქვს გორი და უფლისციხე ვნახო. ბუნებრივ ვარ, რომ აქ სწავლის შესაძლებლობით ვისარგებლებ. ძალზე ვისიამოვნე როგორც საქართველოში, ისე თსუ-ში ყოფნით. ამ ორი კვირის განმავლობაში ამ რეგიონთან დაკავშირებით ჩემი ცოდნა ძლიერ გაიზარდა. ამ უნივერსიტეტის მაგისტრის სკოლაში მონაწილეობა ყველა იმ სტუდენტს ვურჩევ, ვისაც ამ რეგიონის შესახებ უფრო მეტი გაგება და საქართველოს მაღალი ღონის უნივერსიტეტში სწავლა უნდა.“ - დარწმუნებულია ღორა.

პაპიანი პეტრის სახელობის კათოლიკური უნივერსიტეტის



სტუდენტი ქრისტიან საბო ისტორიის სწავლობს და სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსზეა. როგორც ამბობს, ძალზე მაღალია თავისი მასწავლებლის, რომელმაც სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის შესაძლებლობის შესახებ გააგებინა. უნივერსიტეტში მისი სპეციალიზაცია არმენოლოგიაა და მისი კვლევის თემა მეოცე საუკუნის ეხება. „საქართველოში კვლევისთვის მინდოდა ჩამოსვლა, რადგან გასულ წელს კავკასიაში მოგზაურობისას, რომელიც ასევე ჩემი მასწავლებლის მიერ უნივერსიტეტში სწავლა უნდა.“ - ამბობს ქრისტიანმა.

სამაგისტრო სკოლა ერთჯერადი სასწავლო კურსი იყო, თუმცა მისი მსგავსი და უფრო მასშტაბური პროექტების განხორციელება უნივერსიტეტში მომავალში იგეგმება.



ტსუ მესწიერები ნაპირდაცვითი პრობლემების გადაჭრაზე მუშაობენ

პირველი გვერდიდან



ინერგული მასალისაგან წყლის სასარგებლო მოცულობის მაგნიტის გამოიწვევს, გამრდის ჰიდროენერგეტიკის ეფექტიანობას და დასახლებული პუნქტების კავს-გროვული დაგბორვის გარკვეულ პრევენციას მოახდენს; წყალსაცავების კარიერებიდან ამოღებული სხვადასხვა ნაგანის კომპლექსური გამოყენება ღებრადირებული სანაპირო პლაჟების შესავსებად ყველაზე ქმედით საშუალებას წარმოადგენს. მისი გამოყენება შესაძლებელია ასევე საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისა და ნიადაგის განაყოფიერებისთვის.



პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორ ლია მაჭავარიანის განცხადებით, მკვლევართა ჯგუფმა პრობლემის გადასაჭრელად ჩაატარა საველე კვლევა მოქმედ წყალსაცავებზე: გუმათი (მდ. ლიონი), ჯვარი (მდ. ნურა), სონი (მდ. იორი), ჟინვალი (მდ. არაგვი) და სხვ.; გარდა ამისა, განახორციელა ნაგურული ექსპერიმენტი, რომელიც ბუნებრივ ობიექტებზე ხელოვნურად შექმნილი მცირე წყალსაცავების მოსილვის პრიმის დინამიკის სივრცე-დროით მონიტორინგს გულისხმობდა.

პრობლემის რეალიზაციის თანამედროვე მეთოდიკა – მცენიერებმა 2015 წელს დაიწყეს.

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ტსუ-ს მუსგ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ლია მაჭავარიანი გახლდათ. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდნენ: ტსუ მუსგ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გიორგი მეგრეველი – გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ნოდარ წიფივაძე – ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ლამბირა ლალიძე – ტსუ მუსგ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მამა გულამელი – ჰიდროლოგი, დოქტორანტი, გიორგი ბრეგვაძე – გეოგრაფიის დოქტორი, დავით სვანაძე – ვისსპეციალისტი, დოქტორანტი, ნინო პაიჭავაძე – ასისტენტი.

პროექტის შესაბამისად, ტსუ მეცნიერების მღვის სანაპიროზე მდებარე ქვეყნებისათვის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემის გადაჭრის გზა უნდა მოეძებნათ. როგორც ცნობილია, ჰიდროენერგეტიკული მიზნებისთვის წყალსაცავების კასკადების მშენებლობისას – წყალსაცავები ისილება მდინარეების ნაგანით, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა გზის ეკოლოგიური (და ეკონომიკური) მიზნის გამოწვევია. კერძოდ, წყალსაცავების მოსილვისას, წყლის სასარგებლო მარაგის შემცირების გამო, კლებულობს მათი ენერგოეფექტიანობა; იზრდება მიმდებარე დასახლებული პუნქტების, გემების, საფარგულების დაგბორვის რისკები; მდინარეების ნაგანის მწვევე დეფიციტის გამო მაგულობს მღვის სანაპირო ზოლის ღებრადირების რისკი.

პროექტის მონაწილეებმა ორი წლის განმავლობაში, ინტენსიური კვლევის შედეგად, შეიმუშავეს „წყალსაცავებში მუდმივმოქმედი კარიერების სქემის შექმნისა და ექსპლუატაციის მეთოდიკა“. ეს მეთოდიკა ემყარება ნაგანის დახარისხებას გრანულომეტრიული ქანის ან ნიადაგის კომპონენტების ზომის განსაზღვრა) შემადგენლობის მიხედვით და გადანაწილებას წყალსაცავების გასწვრივ. მეცნიერთა აზრით, ამ გზით შესაძლებელია რამდენიმე უმწვავესი პრობლემის ერთდროული გადაჭრა: წყალსაცავების პერიოდული განთავისუფლება

ლიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის. ამ რეკომენდაციების შესაბამისად, წყალსაცავების პროექტირებისას აუცილებელია: ინფრასტრუქტურისა და დასახლებული პუნქტების დაგბორვის საფრთხის გათვალისწინება; კარიერების სისველის წყალსაცავებისა და მოსილვის პრიმის გასწვრივ განლაგება; კარიერების ასამუშაველად შესაბამისი სემონის შერჩევა; წყალსაცავებში ნაგანისაგან გამოთავისუფლებული მოცულობის შედეგად წყლის სასარგებლო მარაგის სამეურნეო მიზნებისთვის გამოყენება; ნაგანის ფრაქციული შედგენილობის გათვალისწინება ნაპირდაცვის, სამშენებლო ინდუსტრიისა და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ინტერესების შესაბამისად; წყალსაცავებიდან აღებული პლაჟებები მასალის გრანსპორტირება ღებრადირებული სანაპიროების შესავსებად და სხვ. ამ რეკომენდაციების ნახვა დაინტერესებულთ უფრო დეტალურად ვებ-გვერდზე: <https://msphproject.wordpress.com/> შეუძლიათ. პროექტის შედეგები, ამ დროისთვის უკვე წარდგენილია საერთაშორისო ფორუმებზე აბაზიანში, აშშ-ში, თურქეთში, შრი-ლანკაში, ნიდერლანდებში, საფრანგეთსა და თბილისში. გამოქვეყნებულია 6 სამეცნიერო პუბლიკაცია მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში. პროექტის შემთავსებელი დემონსტრაცია სემინარი ჩატარდა ქ. დელფტში (ნიდერლანდები) იუნესკოს წყლის განათლების ინსტიტუტში საერთაშორისო სემინარის – „წყლის რესურსების მართვა“ ფარგლებში.

ლია მაჭავარიანის განმარტებით, „დიდ წყალსაცავებზე ეს პროცესი ნელა მიმდინარეობს, ამიტომ პროექტისთვის გამოყოფილი 2 წელი დაკვირვებისათვის ცოცხალი ნაგურული ექსპერიმენტები კი მოსილვის პროცესი იმდენად სწრაფად მიმდინარეობდა, რომ დაკვირვება შედეგადად აღმოჩნდა. ამ ექსპერიმენტებისთვის ირჩიეს განსხვავებული რეჟიმის მქონე სამი პაგარა მდინარე: რუწყალი, რუჭული და ვერე, რომელთა ხელოვნური დაგუბებით მიკროკამხლები შეიქმნა. „დასანაშნავია, რომ ასეთი ექსპერიმენტი საქართველოში პირველად განხორციელდა. შედეგად, შექმნილია ახალი თეორია მთის წყალსაცავებში მოსილვის პრიმის წარმოქმნა-განვითარების და მისი გრანულომეტრიის“. ამბობს პროექტის ხელმძღვანელი.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგად: შექმნილია წყალსაცავში დალექილი მყარი ნაგანის გრანსპორტირების მეთოდიკა სანაპირო ზონის უზრუნველსაყოფად, რადგან ნაპირდაცვა პირდაპირ კავშირშია მიმდებარე მოსახლეობისა თუ დამსვენებელთა უსაფრთხოებასთან. ნაგანი მასალის ზომისა და დანალექი მასის დახრის რისკის ურთიერთკავშირის დასადგენად, გამოყენდა ახალი ფორმულა. შექმნილია საქართველოს სანაპიროს ოქეანოგრაფიული ელემენტების დაკვირვებათა მონაცემების საინფორმაციო ბაზა, განისაზღვრა მღვისპირის რეკრეაციული სენსიტიური მონაკვეთებისთვის ნაგანის დეფიციტის გასაწვრივლებელი ყოველწლიური დანამაგის მოცულობა, შექმნილია სანაპიროზე ნაგანის მიწოდების კონვეიერული მეთოდი, შედგენილია ელექტრონული რუკების სერია. გარდა ამისა, შექმნილია რეკომენდაციები, რომე-



ტსუ რეპტორი უნივერსიტეტის კრედიტითა საერთაშორისო ასოციაციის (IAUP) აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის თავეჯლობარე აღმოსავლეთი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეპტორი გიორგი შარვაშიძე უნივერსიტეტის პრეზიდენტისა და საერთაშორისო ასოციაციის (IAUP) გენერალურ ასამბლეაზე ასოციაციის აღმასრულებელი

საბჭოს წევრად და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის თავეჯლობარე აღმოსავლეთი IAUP-ს კონფერენცია ავსტრიის დედაქალაქში 5-8 ივლისს გაიმართა.

ტსუ სმარტ ლაბორატორია (SMART|AtmoSim-LAB) ატმოსფეროს კვლევაზე იმუშაებს

პირველი გვერდიდან



ლაბორატორიის მუსგი სახელწოდება SMART|AtmoSim-LAB, ატმოსფეროს კვლევების და სიმულაციის ლაბორატორია გახლდათ. ამ ლაბორატორიის შექმნა იულიანის კვლევითი ცენტრის ენერჯიებისა და კლიმატის ინსტიტუტის ქვეინსტიტუტის- გროპოსფეროს კვლევის ინსტიტუტი, (IEK-8 – Institut für Energie – und Klimaforschung-Troposphäre) და ტსუ მუსგ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის შორის თანამშრომლობის შედეგად გახდა შესაძლებელი.

ლაბორატორიაში დასაქმდებიან სტუდენტები ბაკალავრიატის საფეხურიდან დოქტორანტურამდე, რომელიც უშუალოდ იქნებიან ჩართულები ჰაერის ნიშნების აღებაში, ანალიზში და მათემატიკური სიმულაციების შედეგებში და ამისთვის გარკვეულ ანაზღაურებასაც მიიღებენ.

როგორც ლაბორატორიის მთავალი ხელმძღვანელი, მუსგი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ასოციირებული პროფესორი გიორგი ჯიბუგი აცხადებს, „ლაბორატორიაში ატმოსფეროს ლოკალური (თბილისი, საქართველო) ქიმიური ანალიზების საფუძველზე დაგეგმილია მისი დაინტერესების დინამიკური მოდელის შექმნა, სადაც გარდა ქიმიური ანალიზის შედეგებისა, გათვალისწინებული იქნება მეტეოროლოგიური მონაცემებიც. მუსგი მოდელის შექმნა ჯერ ჯერობით დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული, თუმცა მეთოდები განუწყვეტლივ იხვეწება (როგორც ქიმიური, ისე მათემატიკური ანალიზი) და ხდება მოდელის დამსხვებულობის შემცირება. ქიმიური ანალიზები საშუალებას მოგვცემს შევადგინოთ ატმოსფეროს მიმდინარე მდგომარეობა, (ინფორმაცია იქნება საჯარო) ხოლო მათემატიკური მოდელი კი საშუალებას იძლევა მეცნიერების მიერ შეფასდეს გენ-

დენციები და გავაკეთოთ პროგნოზები, ასევე დაგვემოს დაბინძურების შემცირების ეფექტიანი გზები. ასევე ივსება ატმოსფეროს ანალიზის ახალი მეთოდების კვლევა როგორც ქიმიური, ისე მათემატიკური კუთხით.

გარდა რუგნიული ანალიზებისა, რომლის საფუძველზეც ხდება ჰაერის ხარისხის შეფასება, ლაბორატორიაში ასევე პრიორიტეტული იქნება ღრმა კვლევითი შემუშავება, რომელიც მოიცავს ატმოსფეროს დეტალურ ანალიზს და მოდელირებას, ასევე ანალიზის ახალი მეთოდებისა და გექნიკის შემუშავებას, მათ შორის ატმოსფეროს ანალიზისთვის დროების შექმნას“. – ამბობს იგი.

ლაბორატორიის ხელმძღვანელს თანახმად, ხელმძღვანელი მათემატიკის ეყობა. ლაბორატორიის საქმიანობაში მენტორების სტატუსით მუსგი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პროფესორებიც ჩართულებიან.

AtmoSim ლაბორატორიაში შესაძლებელი იქნება განისაზღვროს ატმოსფეროს ისეთი დამბინძურებლები როგორებიცაა აბოგის ოქსიდები, ნახშირორჟანგი, ნახშირჟანგი, მეთანი და სხვა აქროლადი ნახშირწყალბადები, ოზონი და მიკრონაწილაკების შემცველობა.

აპარატურის ძირითადი ნაწილი სახელმწიფო უნივერსიტეტის იულიანის კვლევითი ცენტრის მიერ შესყიდვით გადმოიყვანა. მსგავსი ტიპის აპარატურასთან მუშაობის გამოცდილება ლაბორატორიის თანამშრომელთა ნაწილში იულიანის შეიძინა. გარდა ამისა, ივსება ასევე იულიანის ერთ-ერთი მკვლევარის ვიზიტი ლაბორატორიის აწყობის პერიოდში, რათა იგი ქართველ კოლეგებს ლაბორატორიაში გამოსაყენებელ აპარატურასთან დაკავშირებულ გექნიკურ საკითხებში დაეხმაროს.

ბამარჯვებულები ტსუ-დან



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკაში „ფონდ ლია საბოგალოვა საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის „პარლამენტის იმიჯირებული კომიტიტის სხდომების“ გამარჯვებული გუნდების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა. კონკურსის ფინალში გაიმარჯვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოურიდიული ფაკულტეტის გუნდმა, შემდეგი შემადგენლობით: ნანა ნაღობაძე, ნანა უზნაძე, ნანა ბრეგვაძე, თეონა მაღრაძე.

სიახლეები



1 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ათი წლის საიუბილეო ღონისძიება და 2017 წლის კურსდამთავრებულთა დიპლომების გადაცემის ცერემონია გაიმართა.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სს „თიბისი ბანკს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა. მემორანდუმს თსუ-ს რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და სს „თიბისი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრაიძემ მოაწერეს ხელი.

„თიბისი ბანკი“ და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო და სოციალურ პროექტების მიმართულებით თანამშრომლობას იწყებენ. „თიბისი ბანკს“ და თსუ-ს შორის ღირებულებათა მყარი თანხვედრა, ორივე ინსტიტუციის თავის პარიტიკულად ახალგაზრდების მხარდაჭერას მიზნებს და ქვეყნის განვითარებაში ამ მხრივ განსაკუთრებული წვლილი შეიტანს. ასევე ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანი პარიტიკული ქართული უნის განვითარებასა და განმეორებაზე მზუნველ, რაც ერთობლივი პროექტებით განხორციელდება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სათავადასახელო გურამბის სკოლის შორის თანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა. მემორანდუმს ხელი თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და გურამბის სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ცინცაძემ მოაწერეს.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგულენოვანი საბაკალავრო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება“ (Filière Francophone en Informatique) კურსდამთავრებულთა ფრანგული ეროვნული დიპლომები (უნივერსიტეტი პარიზი 8) გადაეცა. ბოლო 6 წლის შედეგებით, კურსდამთავრებულია 100 ბაკალავრი დასაქმებულია.



მემორანდუმის თანახმად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ჩაერთონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ასოციაციის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, მიიღონ კონსულტაცია და დახმარება ასოციაციის უფლებამოსილების ფარგლებში. სტუდენტებს დამოუკიდებელი და შემოქმედებითი მუშაობისთვის შექმნილი საჭირო პირობები, ექნებათ ხელმეწიფობა სხვადასხვა პროექტებისა და კონფერენციების გამართვასა და ორგანიზებაში. ასევე, უნივერსიტეტის მიერ მიწოდებული გელეპროექტივა განთავსდება ასოციაციის წევრ და პარტნიორ ორგანიზაციების გელეკომპანიებში.



თსუ-ს მოღვაწეებმა სტუდენტური პროექტების ფარგლებში ახჯერად ყაზბეგი დალაშქრეს.

თსუ ფუტსალის გუნდი ევროპის ჩემპიონატის პრესხლის პრიზიორია

კურტანბიე დასახელდა. ჯგუფში თსუ-ს მეგობრები პორტუგალიის, უნგრეთის, თურქეთისა და საფრანგეთის საუნივერსიტეტო გუნდები იყვნენ. ჯგუფურ ეტაპზე თსუ სტუდენტებმა სამი მოგებითა და ერთი ფრით პირველი პოზიცია დაიკავეს, რითიც ნახევარფინალში პოლონეთის უნივერსიტეტს შეხვდნენ და 5:3 დაამარცხეს. ფინალში, რომელიც 17 ივლისს გაიმართა, თსუ ევროპის სტუდენტური ჩემპიონატის მოქმედ ჩემპიონს, პორტუგალიის უნივერსიტეტს შეხვდა. მეგობრული თამაშის დასრულებამდე 8 წამით ადრე გოლი გაიტანა და ანგარიში 5:4 დასრულდა.



ამ დრომდე საქართველოს უმაღლესი ადგილი რეიტინგში იყო მე-3 ადგილი, რომელიც ისევ თსუ-მ დაიკავა ესპანეთში გამართულ ევროუნივერსიტეტულად.

თსუ ფუტსალის გუნდის კაპიტანი მიხეილ თევზაძე და გურნიორის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებული ნიკოლოზ კურტანბიე ჩემპიონატისა და მოწინააღმდეგე გუნდების შესახებ გვიყვებიან. ნიკოლოზ კურტანბიე, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: „უფიქრობდით, რომ ევროუნივერსიტეტულად მონაწილეობა გავიჭირებოდა, რადგანაც ვიცოდით, რომ საკმაოდ ძლიერი გუნდები ჩამოდიოდნენ. ამის მიუხედავად, ჩვენ გვეჯეროდა რომ წარმატების მიღწევა შეგვეძლო.“

გურნიორის საუკეთესო ფეხბურთელად დამსახურეს და ძალიან მიხარია ეს ფაქტი, ამისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გუნდებს მათ გარეშე მე ვერაფერს გავხეობდი. და ბოლოს მინდა მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტს მხარდაჭერისთვის, კერძოდ კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, რომლის თანადგომის ყოველთვის ვგრძობთ და ასევე მადლობა ყველა იმ გულშემაგვილს რომელიც გველომავოდა, ეს დიდ მოგვიყვარებს ვგაძლევდა თამაშებზე“.

თურქეთთან პირველი თამაშის გამარჯვებამ უფრო მეტი თავდაჯერებულობა შეგვძლავა და მომდევნო თამაშებისთვის ნაკლებად ენერჯიზობდით. იმ გუნდებთან (მაგ. საფრანგეთი, უნგრეთი) გამარჯვება, რომლებსაც ერთი შეხედვით, დიდი ანგარიშით მოეუგეთ, სინამდვილეში ძალიან დიდი ძალის და ენერჯის ხარჯის შედეგად მოვიპოვეთ. ნახევარფინალში მეგობრული საკმაოდ ძლიერი, პოლონეთის უნივერსიტეტის გუნდი იყო. მე ამ თამაშს ვგოვებდი მიღებული ორი ყვითელი ბარათის გამო და თამაშს გრიუნიებიდან უყურებდი. საკმაოდ მძიმე თამაში გამოდგა, პოლონეთის განადები და ძლიერი იყვნენ ფიზიკურად და ჩემს გუნდებს ყოველთვის ბრძოლაში უწყველად თამაში.

„საქართველოს უნივერსიტეტი გუნდმა ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა. ყველა თამაში მოვიგეთ და არანაირი კითხვები არ დაგვიტოვებია გურნიორის მიმდინარეობისას“ – ამბობს თსუ ფუტსალის გუნდის კაპიტანი, მიხეილ თევზაძე.

საბოლოოდ, ბიჭებმა თავიანთი თავდადებით და ბრძოლისუნარიანობით შედეგს მიადწიეს და ფინალში გავედით, სადაც მეგობრული პორტუგალიის ჩემპიონი იყო.

„პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ უკვე მედიმელ მეორედ საქართველოს უნივერსიტეტის ჩემპიონები გავხვით და მესამედ უნივერსიტეტის თასის მფლობელები. ეს ყველაფერი იმის დამსახურებაა, რომ მთელი წელი მუხლჩაუხრელად ვვარჯიშობდით და ვმომობდით, ცვლილებით მწვრთნელის დახმარებით ბედნიერებით შევასრულეთ და მაქსიმალურად დავიხარეთ ვარჯიშებზე და თამაშებზე. საკმაოდ კარგი საუნივერსიტეტო გუნდები გვყავს საქართველოში და რთული იყო ეს გზა რაც გუნდმა ასე წარმატებით გაიარა.“

დასაკარგი არაფერი გვექონდა, რადგან ჩვენ იმაზე ბევრად მეტი გვაკეთებდა რაც მოგვეთხოვებოდა. ფინალი, სამწუხაროდ, დავთმეთ ბოლო წამებზე გაშვებული გოლით, ამის მიუხედავად მე ძალიან ამაყი ვიყავი ჩემი გუნდლებით, მწვრთნელი-დავით ბობოხიძის, რომელმაც წარმოუდგენელი რამ შეძლო და პირველად ისტორიაში უნივერსიტეტი მე-2 ადგილზე გაიყვანა.

საქართველოს ჩემპიონი უნივერსიტეტის გიგუნდის მოპოვების შემდეგ დავიმსხურეთ, რომ ჩვენს ქვეყნის სახელით გვეთამაშა საუნივერსიტეტო ევროპის ჩემპიონატზე, სადაც სხვადასხვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონი უნივერსიტეტები თამაშობენ. მინდა აღვნიშნო, რომ აღნიშნული გურნიორი არა მარტო საუნივერსიტეტო დონეზე, არამედ ზოგადად ფუტსალში ერთ-ერთი პრესტიჟული და მაღალი დონის ჩიხლაძეს, ნავა ყაზბახაშვილს, ქეთევან დადიანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სსსწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენლებს მაკა ჯორბენაძეს და ნინო გვაზაძეს.

პორტოს უნივერსიტეტის პროფესორის ადრიანო ა. ბორდალოს ვიზიტი თსუ მედიცინის ფაკულტეტზე

პირველი გვერდიდან



თსუ მედიცინის ფაკულტეტს ევროკომისიის მიერ დაფინანსებული უნივერსიტეტის პროგრამის ფარგლებში სამუშაო ვიზიტით 17-21 ივლისს პორტოს უნივერსიტეტის (პორტუგალია) ასოციირებული პროფესორი ადრიანო ა. ბორდალო ეწვია.

თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის პროფესორმა ბორდალომ წაიკითხა ლექციები წყლის ხარისხზე და დაავადებათა პრევენციამდე, იოდის ლეფიციენტი გამოწვეული დაავადებების ეპიდემიოლოგიაზე, ჯანმრთელობაზე უფლებასა და უსაფრთხო გარემოს საკითხებზე. ვიზიტის ფარგლებში პროფესორი ადრიანო ა. ბორდალო შეხვდა მედიცინის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ალექსანდრე ცისკარიძეს, სამოგალო-ბრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს პროფესორ პაპაგა იმნაძეს, დეპარტამენტის აკადემიურ პერსონალს, ასოციირებულ პროფესორებს

ნინო ჩიხლაძეს, ნავა ყაზბახაშვილს, ქეთევან დადიანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სსსწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენლებს მაკა ჯორბენაძეს და ნინო გვაზაძეს. პროფესორი ადრიანო ა. ბორდალო ეწვია საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრს, სანიტარიის, პიეიენის და სამედიცინო ეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტს, გ. ულიაძის სახელობის ბაქტერიოლოგიის და ვირუსოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. ვიზიტის დასასრულს თსუ მედიცინის ფაკულტეტის დეკანთან, პროფესორ ალექსანდრე ცისკარიძესთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრისას დაისახა თანამშრომლობის გაგრძელების პერსპექტივები უახლოეს მომავალში როგორც აკადემიურ, ისე სამეცნიერო სფეროში.